# ხელშეკრულება № 4046/11/51
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
*(სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა)*

ქ.თბილისი                                                                 3 სექტემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ, შპს "თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გივი აზაურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბეგი-ჯორჯია" (შემდგომში – მომწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ტურაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*
1.1 ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად სარემონტო სამუშაოების ჩატარება

### *2. შესყიდვის ობიექტი*
2.1 შესყიდვის ობიექტია ცენტრის I სართულზე (ლიტ "გ") სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება თანდართული დანართების შესაბამისად.

### *3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება*
3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 70 310,3 (სამოცდაათი ათას სამასათი ლარი და 30 თეთრი) ლარი

### *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*
4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*
5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 5 ოქტომბრამდე.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, ვ.ფშაველას გამზ. 83/11;
5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

### *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*
6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### *7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი(ვადები) და ადგილი*

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში;
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით (გადარიცხვით);
7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების, წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ არაუმეტეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში;

### *8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი*

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
– შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
– უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
– მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა.
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გონივრულ ვადაში საკუთარი ხარჯებით სრულად აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოებში მიმწოდებლის მიზეზით არსებული ნაკლოვანებები/ხარვეზები (ასეთის გამოვლენის შემთხვევაში).

### *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;
9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვის ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1% ოდენობით.

*10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10,1 ხელშეკრულების მოქმედება განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე.

*11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*12. ფორს-მაჟორი*

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;
12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;
12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

*13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის

დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბადრი ლომაია, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის დირექტორი საფინანსო ეკომიურ დარგში.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *15. სხვა პირობები*

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა დ ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.5 წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის ხარჯთაღრიცხვა, რომლებიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს

15.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| | |
|---|---|
| შემსყიდველი:<br>თბილისის #1 სამკურნალო<br>პროფილაქტიკური ცენტრი<br>ქ. თბილისი, ვ. ფშაველას 83/11<br>სს „საქართველოს ბანკი"<br><br>კოდი: 220101502<br>ა/ა # GE83TB49836080100002<br>ს/კოდი: 204861952<br>შპს #1 სამკურნალო პროფილაქტიკური<br>ცენტრის გენერალური დირექტორი<br><br>/გ. აზაურაშვილი/ | შპს ბეგი-ჯორჯია<br>თბილისის ზაზაშვილის ქ 1<br>„ბაზის ბანკი"<br>ა/ა GEO7 BS0000000013836277<br>ს/კოდი: 202456430<br><br>შპს „ბეგი-ჯორჯია"-ს დირექტორი<br><br>/ ვ.ტურაშვილი/ |

# №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის მიმღების სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

დანართი

| № | სამუშაოების დასახელება | განზ. | რაოდ. | მასალა | | ხელფასი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | |
| 1 | არსებული კედლების დემონტაჟი, ნაგავის გატანა | მ³ | 56.00 | 0 | 0.0 | 30 | 1680.0 | 1,680.0 |
| 2 | კომუნიკაციების ხაზების დემონტაჟი | მ | 110.00 | 0 | 0.0 | 12 | 1320.0 | 1,320.0 |
| 3 | კედლების შენება არსებული აგურით | მ³ | 8.50 | 18 | 153.0 | 52.5 | 446.3 | 599.3 |
| 4 | კედლების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით | მ² | 160.00 | 4.5 | 720.0 | 6.25 | 1000.0 | 1,720.0 |
| 5 | ფერდილების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით | გრძ.მ | 75.00 | 2.5 | 187.5 | 5.2 | 390.0 | 577.5 |
| 6 | ცემენტის მოჭიმვის მოწყობა | მ² | 258.00 | 4.5 | 1,161.0 | 5 | 1290.0 | 2,451.0 |
| 7 | იატაკის მოწყობა კერამოგრანიტით და პლინტუსით | მ² | 256.00 | 20 | 5,120.0 | 10 | 2560.0 | 7,680.0 |
| 8 | სვეტებზე თაბაშირ-მუყაოს ფილების მოწყობა | მ² | 16.56 | 16 | 265.0 | 6.25 | 103.5 | 368.5 |
| 9 | სვეტების მოპირკეთრბა კერამოგრანიტის ფილებით | მ² | 16.56 | 20 | 331.2 | 10 | 165.6 | 496.8 |
| 10 | იატაკის მოწყობა მეტლახით სველ წერტილებში | მ² | 15.20 | 16 | 243.2 | 10 | 152.0 | 395.2 |
| 11 | კედლების ლესვა სველ წერტილებში | მ² | 54.00 | 4.5 | 243.0 | 5 | 270.0 | 513.0 |
| 12 | კედლის მოპირკეთება კერამიკული ფილით | მ² | 52.00 | 16 | 832.0 | 10 | 520.0 | 1,352.0 |
| 13 | ფანჯრის რაფების მოწყობა | მ | 15.00 | 16 | 240.0 | 5 | 75.0 | 315.0 |
| 14 | პლ. შეკიდული ჭერი | მ² | 15.20 | 9 | 136.8 | 5 | 76.0 | 212.8 |
| 15 | არმსტრონგის შეკიდული ჭერი | მ² | 216.00 | 8 | 1,728.0 | 5 | 1080.0 | 2,808.0 |
| 16 | კედლების დამუშავება შეღებვა | მ² | 258.00 | 4.5 | 1,161.0 | 6.25 | 1612.5 | 2,773.5 |
| 17 | ალუმინის ორფრთიანი კარის მოწყობა (თეთრი) | მ² | 12.00 | 140 | 1,680.0 | 30 | 520.0 | 2,200.0 |
| 18 | ალუმინის კარის მოწყობა (ყავისფერი) | მ² | 11.70 | 130 | 1,521.0 | 30 | 351.0 | 1,872.0 |
| 19 | მეტალოპლასტმასის ფანჯრების მოწყობა | მ² | 26.00 | 100 | 2,600.0 | 30 | 780.0 | 3,380.0 |
| 20 | მ დ ფ-ის კარის მოწყობა | ც | 3.00 | 300 | 900.0 | 72 | 216.0 | 1,116.0 |
| 21 | მეტალოპლასტმასის ტიხრების მოწყობა სველ წერტილებში | მ² | 13.00 | 90 | 1,170.0 | 30 | 390.0 | 1,560.0 |
| 22 | უნიტაზი | ც | 4.00 | 130 | 520.0 | 50 | 200.0 | 720.0 |
| 23 | ხელსაბანი შემრევით | ც | 4.00 | 150 | 600.0 | 50 | 200.0 | 800.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | პლასტმასის მილი დ-100 | მ | 50.00 | 6.5 | 325.0 | 2 | 100.0 | 425.0 |
| 25 | პლასტმასის მილი დ-150 | მ | 22.00 | 14 | 308.0 | 8 | 176.0 | 484.0 |
| 26 | მუხლი დ-100 | ც | 12.00 | 2.5 | 30.0 | 1 | 12.0 | 42.0 |
| 27 | მუხლი დ-150 | ც | 10.00 | 8 | 80.0 | 2 | 20.0 | 100.0 |
| 28 | ქურო დ-100 | ც | 6.00 | 2.5 | 15.0 | 1 | 6.0 | 21.0 |
| 29 | სამკაპი დ-100 | ც | 5.00 | 3.5 | 17.5 | 1 | 5.0 | 22.5 |
| 30 | სამკაპი 100*50*100 | ც | 2.00 | 3 | 6.0 | 1 | 2.0 | 8.0 |
| 31 | მილი დ-50 | მ | 48.00 | 2.5 | 120.0 | 1 | 48.0 | 168.0 |
| 32 | მუხლი დ-50 | ც | 34.00 | 1.5 | 51.0 | 0.5 | 17.0 | 68.0 |
| 33 | სამკაპი დ-50 | ც | 2.00 | 2 | 4.0 | 0.5 | 1.0 | 5.0 |
| 34 | ცივი წყლის მილი დ-25 | მ | 48.00 | 1.5 | 72.0 | 1 | 48.0 | 120.0 |
| 35 | ცივი წყლის მილი დ-20 | მ | 64.00 | 1 | 64.0 | 1 | 64.0 | 128.0 |
| 36 | ფასონური ნაწილები | ც | 96.00 | 1 | 96.0 | 0.5 | 48.0 | 144.0 |
| 37 | ვინტილი დ-25 | ც | 2.00 | 7 | 14.0 | 5 | 10.0 | 24.0 |
| 38 | კუთხის ვინტილი დ-20 შლანგებით | ც | 12.00 | 11 | 132.0 | 4 | 48.0 | 180.0 |
| 39 | რიგელების და კოლონების შეფუთვა ლამინატით | მ2 | 55.00 | 35 | 1,925.0 | 31.25 | 1718.8 | 3,643.8 |
| | გათბობა | | | | | | | |
| 1 | პანელური რადიატორების მოწყობა 600*2000 | ც | 2.00 | 215 | 430.0 | 70 | 140.0 | 570.0 |
| 2 | 600*1200 | ც | 6.00 | 135 | 810.0 | 60 | 360.0 | 1,170.0 |
| 3 | 600*1000 | ც | 2.00 | 115 | 230.0 | 50 | 100.0 | 330.0 |
| 4 | რადიატორის ვინტილები | ც | 20.00 | 12 | 240.0 | 8 | 160.0 | 400.0 |
| 5 | ქურო გ.ხ. დ-20 | ც | 20.00 | 1.6 | 32.0 | 2 | 40.0 | 72.0 |
| 6 | ცხ.წყლის მილი დ-25 | მ | 80.00 | 2.5 | 200.0 | 1.5 | 120.0 | 320.0 |
| 7 | ცხ.წყლის მილი დ-20 | მ | 40.00 | 1.8 | 72.0 | 1 | 40.0 | 112.0 |
| 8 | სამკაპი დ-25 | ც | 8.00 | 0.6 | 4.8 | 0.5 | 4.0 | 8.8 |
| 9 | სამკაპი დ-25-20-25 | ც | 20.00 | 0.5 | 10.0 | 0.5 | 10.0 | 20.0 |
| 10 | გადამყვანი 25-20 | ც | 6.00 | 0.4 | 2.4 | 0.5 | 3.0 | 5.4 |
| 11 | მუხლი დ-25 | ც | 10.00 | 0.4 | 4.0 | 0.5 | 5.0 | 9.0 |
| 12 | მუხლი დ-20 | ც | 50.00 | 0.3 | 15.0 | 0.5 | 25.0 | 40.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | უტკა დ-25 | ც | 8.00 | 1 | 8.0 | 0.5 | 4.0 | 12.0 |
| 14 | დ-20 | ც | 20.00 | 0.8 | 16.0 | 0.5 | 10.0 | 26.0 |
| 15 | დამხმარე მასალა | ლარი | 1.00 | 0 | 0.0 | 250 | 250.0 | 250.0 |
| 16 | გათბობის ქვაბის ( 32 კვტ ) მოწყობა | ც | 1.00 | 1850 | 1,850.0 | 150 | 150.0 | 2,000.0 |
| 17 | გათბობის ქვაბის კომპლექტაცია | ც | 1.00 | 150 | 150.0 | 250 | 250.0 | 400.0 |
| 18 | ქურო დ-25 | ც | 10.00 | 0.4 | 70.0 | 0.5 | 5.0 | 75.0 |
| 19 | დ-20 | ც | 20.00 | 0.3 | 6.0 | 0.5 | 10.0 | 16.0 |
| | ელექტრობა და სუსტი დენები | | | | | | | |
| 1 | ალუმინის ელ.კაბელი 4*50 | მ | 12.00 | 6.3 | 75.6 | 4 | 48.0 | 123.6 |
| 2 | 4*35 | მ | 12.00 | 4.2 | 50.4 | 4 | 48.0 | 98.4 |
| 3 | 4*10 | მ | 40.00 | 1.5 | 60.0 | 2.5 | 100.0 | 160.0 |
| 4 | სპილენძის ელ.სადენი 3X4 | მ | 40.00 | 3.5 | 140.0 | 0.5 | 20.0 | 160.0 |
| 5 | 3X2,5 | მ | 60.00 | 2.5 | 150.0 | 0.3 | 18.0 | 168.0 |
| 6 | 3X1,5 | მ | 100.00 | 1.6 | 160.0 | 0.2 | 20.0 | 180.0 |
| 7 | 2X1,5 | მ | 300.00 | 1 | 300.0 | 0.1 | 30.0 | 330.0 |
| 8 | საშტეფსელო როზეტი დამიწებით | ც | 8.00 | 5 | 40.0 | 5 | 40.0 | 80.0 |
| 9 | ჩამრთველი დამიწებით 2 პოლუსიანი | ც | 2.00 | 5 | 10.0 | 5 | 10.0 | 20.0 |
| 10 | გამანაწილებელი კოლოფი | ც | 6.00 | 1.2 | 7.2 | 3 | 18.0 | 25.2 |
| 11 | სამონტაჟო კოლოფი | ც | 10.00 | 0.8 | 8.0 | 0.5 | 5.0 | 13.0 |
| 12 | ავტომატების ყუთი 12 ჯგუფზე | ც | 2.00 | 16 | 32.0 | 50 | 100.0 | 132.0 |
| 13 | ავტომატების ყუთი 8 ჯგუფზე | ც | 1.00 | 12 | 12.0 | 50 | 50.0 | 62.0 |
| 14 | ავტომატები 63 ა | ც | 1.00 | 32 | 32.0 | 3 | 3.0 | 35.0 |
| 15 | 25 ა | ც | 2.00 | 12 | 24.0 | 2 | 4.0 | 28.0 |
| 16 | 10 ა | ც | 3.00 | 6 | 18.0 | 2 | 6.0 | 24.0 |
| 17 | ამსტრონგის სანათი 4X18 | ც | 43.00 | 32.5 | 1,397.5 | 7.5 | 322.5 | 1,720.0 |
| 18 | წერტილოვანი სანათი | ც | 14.00 | 15 | 210.0 | 6.25 | 87.5 | 297.5 |
| 19 | გარე განათების სანათი | ც | 2.00 | 18 | 36.0 | 6.25 | 12.5 | 48.5 |
| 20 | ვიდეოს კაბელი | მ | 100.00 | 1.1 | 110.0 | 1 | 100.0 | 210.0 |
| 21 | კომპიუტერის როზეტი | ც | 5.00 | 12.8 | 64.0 | 12.5 | 62.5 | 126.5 |
| 22 | კომპიუტერის კაბელი | მ | 160.00 | 0.6 | 96.0 | 0.5 | 80.0 | 176.0 |

ვ. [illegible]

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23 | სვიჩი 8 პორტიანი | ც | 1.00 | 48 | 48.0 | 5 | 5.0 | 53.0 |
| 24 | დამხმარე მასალა | ლ | 1.00 | 50 | 50.0 | 0 | 0.0 | 50.0 |
| | ჯამი | | | | 32,053.1 | | 20597.6 | 52,650.7 |
| | ტრანსპორტის ხარჯი მასალიდან | | 0.03 | | | | | 961.6 |
| | ჯამი | | | | | | | 53,612.3 |
| | ზედნადები ხარჯი | | | | | | | 2,600.0 |
| | ჯამი | | | | | | | 56,212.3 |
| | გეგმიური მოგება | | 0.06 | | | | | 3,372.7 |
| | ჯამი | | | | | | | 59,585.0 |
| | დღგ | | 0.18 | | | | | 10,725.3 |
| | სულ | | | | | | | 70,310.3 |
| | | | | | | | | |

შ.პ.ს "ბეგი ჯორჯია"-ს დირექტორი

ვ. ტურაშვილი

შ.პ.ს ქ. თბილისის #1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი"

გ. აზაურაშვილი

ქალაქ თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 ინდექსი 0105. ტელეფონი 322059

ქ. თბილისი

№„ 208 “ „ 04 „09 “ 2012 წელი

სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოს

ჩვენს მიერ 03,09 2012 გამოგზავნილი # 207 წერილის დანართად წარმოგიდგენთ ქ. თბილისის მერიის თანხმობის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებისათვის ხელშეკრულების დასადებად:

პატივისცემით,

შ.პ.ს „თბილისის #1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“-ს
გენერალური დირექტორი
/ გ. აზაურაშვილი/

# ქალაქ თბილისის მერია
## TBILISI CITY HALL

№ 07/121022-8
"22" 08 2012

შპს "თბილისის №1 სამკურნალო
პროფილაქტიკური ცენტრის" (ს/კ 204861952)
გენერალურ დირექტორს
ბატონ არჩილ გედენიძეს

მის.: ვაჟა-ფშაველას გამზ. №83/11
ტელ.: 2 32 20 59

ბატონო არჩილ,

თქვენი, 10/08/2012 წლის №195 წერილის (რეგისტრ. №07/121022-8 13/08/2012წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის დებულების შესაბამისად და შპს "თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის" წესდებით განსაზღვრული საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით გეძლევათ თანხმობა შპს "თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრმა" (ს/კ 204861952) რეგისტრატურის რეკონსტრუქციის მომსახურება შეიძინოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პატივისცემით

დავით ნინიძე

მერის პირველი მოადგილე
(ვიცე-მერი)

ქ. თბილისი 0160, შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 189, ფაქსი: (+995 32) 23 78 154
7, Shartava st., 0160 Tbilisi, Georgia, Tel.: (+995 32) 23 78 189; Fax: (+995 32) 23 78 154